№ 848 სამშაბათი, 22 ივნისი. 1896—1899 სამშაბათი, 22 ივნისი. № 848

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა

ყოვლის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართონ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—? დან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.

ტელეფონი № 363

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან. ერთის თვით 60 კაპ.

თითო ნომერი 3 კაპიკი

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д Дворянства.

Телефонъ № 339

წლის დამლევამდე

გაზეთი „ცნობის ფურცელი"

ეღირება 3 მან. 50 კაპ.

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი

ქეფირი და კუმისი

ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—32) ო. კორონა.

ექიმი

კ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ К. М. Чиковани

Михайлов., № 16.

დაიბეჭდა და გაისყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

თხზულებანი

ა. ს. პუშკინისა

ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით

ფასი 50 კაპ.

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებსა და ეკკლესიებშიაც

ცხოვრება წმ. დიდისა მოწამისა

იაკობ დაჭრილისა

მეორე გამოცემა მორჩილის რაფიელ ბარამიძისა

ფასი ერთი შაური. (10—2)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდები სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ბერაძე.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟის თვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია

Лъчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ

## ახალი ამბავი

* * * ტფილისის სავაჭრო ამხ. „შუამავლის" კრება. გუშინ წინ საღამოსთვის 9 საათზედ სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნული იყო საგანგებო კრება სავაჭრო ამხანაგობის „შუამავლისა". კრებას კარგა ბლომა საზოგადოება დაესწრო. თავს-მჯდომარედ კრებისა არჩეული იყო ბ-ნი მთვარელიშვილი. აქ ჩვენ ვერ მოვიყვანთ ორატორთა სიტყვებს, მხოლოდ აღვნიშნავთ ერთს სამწუხარო გარემოებას, რომ როგორც გამგებლის მოხსენება აგრეთვე მოწინააღმდეგე ორატორები უფრო პიროვნებას შეეხებოდნენ ვიდრე საქმეს. თვითონ საქმე მეტისმეტად უნუგეშო მდგომარეობაში ყოფილა თურმე და სწორედ ეს გარემოება გვაიძულებს, რაც კი კრებაზე იყო წარმოთქმული, ჯერხანად არ გამოვაქვეყნოდ, რათა ისედაც იმედ გაცრუვებული საზოგადოება სრულიად არ დაფთხეს... კრებამ „შუამავლის" საქმის გამოსაწეს-რიგებლად და საზოგადოდ რაიმე მალამოს დასადებად ამოირჩია კომისია შემდეგის პირებისაგან: დ. კარიჭაშვილი, ბ-ნი კოლელიშვილი, გ. რატიანი, ე. ჩხარტიშვილი, ბ-ნი ყარსელოვი და ვ. გუნია. ამ პირთ დაავალა ორი კვირის განმავლობაში გაიცნონ საქმის ყოველივე ავ-კარგი და ან გამგებელი მოსძებნონ ვინმე ან არა და ვინმე ვაჭარი, რომელსაც საამხანაგოდ ჩააბარებს ფირმას. ერთის სიტყვით ხსენებულ კომისიამ ყოველივე ღონე უნდა იღონოს, რომ საქმე როგორმე მოაბრუნოს. ამ კომისიას პირველი კრება ექმნება დღეს საღამოს დავით კარიჭაშვილის თავსმჯდომარეობით.

* * * მგელი სენაკის სკოლის საქმე. ძლივს ძლივობით დასრულდა ამ თვის 18 წერა-კითხვის საზოგ. გამგეობამ თავის სხდომაზე დაადგინა. სენაკის სათავათ-აზნაურო სკოლის ინსპექტორი სამსონ ყიფიანი გადაყვანილ იქმნას ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში მასწავლებლათ: ხოლო მასწავლებლები: მ. შარაშიძე, გ. წულუკიძე, გომელაური, პლ. წულუკიძე და აღმზრდელი გ. ბოკერია დათხოვნილ იქმნან სრულიად უადგილოთ.

* * * სტამბების 500 წლის თავი. ხვალ 23 ივნისს შესრულდება სწორედ ხუთასი წელიწადი, რაც დაიბადა დიდებული კაცი იოანე გუტენბერგი, რომელმაც გამოიგონა ერთი უძლიერესი მომქმედი კაცობრიობის განათლებისა წიგნის ბეჭდვა—სტამბა.

გუტენბერგი დაიბადა 1399 წ. 23 ივნისს ქ. მაინცში. 1434 წ., ესე იგი როცა გუტენბერგი ოცდათხუთმეტი წლის კაცი იყო, მან გამოიგონა ზემოდ თქმული ბეჭდვა სტამბა, რომელმაც უკვდავი ჰყო მისი სახელი უკუნითი უკუნისამდე და მით ადამიანის აზრს მისცა ისეთი გავლენა კაცობრიობაზე. მთელი გერმანეთი აპირებს დიდის ამბით და ზეიმით ამ დღეს გადახდას და მრავალ დღესასწაულების გამართვას.

* * * სოხუმი. ქალაქის არჩევნება. იმედია, სოხუმელების ლოდინს მალე მოეღება ბოლო და თვითმართველობის საქმე ასე თუ ისე გადაწყდება. როგორც იუწყიან „ცნობის ფურცლის" მკითხველებმა, 17 მაისს მომხდარ არჩევნებზე ქალაქის მოურავად არჩეულმა აქაურმა მემამულემ აზნაურმა პეტრე ბარკალაიამ სხვა და სხვა მიზეზთა გამო თხოვნა მიართვა ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორს, მე არა მსურს ვიკისრო ეს თანამდებობა, ამიტომ მე ნუ დამამტკიცებთ და ჩემს ადგილზე სხვა აარჩივინეთო. წარდგენილი იყვნენ დასამტკიცებლად ქალაქის მოურავის თანამდებობაზე ანთ. ჯულელი და ქრისტ. ყარამურზა. ქუთაისის საგუბერნიო საქალაქო და საქმეთა საკრებულომ განიხილა ეს არჩევნები და არ დაამტკიცა. ახლა წინადადება მოუვიდა აქაურ საბჭოს თავმჯდომარეს გენერალს ნ. ლომაკინს, წინადადება მოუვიდა ხელახლა არჩევნები მოახდინეთ როგორც ქალაქის თავისა ისე მისის თანაშემწისაო. ახალი არჩევნები ამ 3—4 დღეში მოხდება. ქალაქის თავად ასახელებენ ბ-ნს ალ. სარაჯიშვილს.

— საქალებო პროგიმნაზიაში კურს დამთავრებულნი. აქაურ ოთხკლასიან საქალებო პროგიმნაზიაში წრეულს სწავლის კურსი დაამ

თავრეს 10 ქალმა მათ შორის 4 რუსია, 2 ბერძენი, 1 ებრაელი, 1 აფხაზი—ე ლაკერბაიას ქალი, 2 ქართველი: ეკ. ჩიჩუა და სოფ ქოიავა.

*** **ს. კახათი** (სამეგრელო). საზარელი მკვლელობა. ამას წინად, ერთ აქაურ თ. პატიასან პირს სახელდობრ დუტუ გაბესქირიას, მოჰპარეს ცხენი, რომლისათვის ადგილობრივმა მამასახლისმა ჯეროვანი განკარგულება მიახდინა, შეჰკრიბა შენიშნული პირები და წინადადება მისცა ან მოეძებნათ ცხენი, ან ცხენის ფასი ეზღოთ პატრონისთვის, მაგრამ საქმე ჩვეულებრივად მიჩუმდა. აი რამ აიძულა მეორეჯერ მოეხდინა განკარგულება და იმას ის მოჰყვა, რომ ყველა შენიშნული პირები დაამწყვდია სოფლის საპყრობილეში. გარდა ორის არა წმინდა ვაჟბატონებისა, რომლებიც გატყდნენ ცხვრის ქურდობაში და საზოგადოებამ აპატია მათ ასეთი დანაშაულობა. აი ამ პატიებამ გამოიწვია ზედ მეტი დანაშაულობა: 13 ივნისს, ადგილობრივ სასამართლოში იყო მთელი „სხოდი" ბ. მსაჯულ შუამავლის ჩამობრძანების გამო, ბოროტ-გამძრახველს ანდრია ნარმანიას განუძრახავს, თუ კი დღეს ყრილობაა, ნამდვილად მე შემიყვნებდნენ გარდასახდელ ჯარიმას და ჩემთვის სიკვდილი სჯობია სიცოცხლესაო და მოუფიქრნია ცხენის პატრონის მოკვლა. სწორედ მერვე საათი იქნებოდა, როცა მიმავალს დუტუ გაბესქირიას შეეხერა წინ ანდრია ნარმანია ბერდანის თოფით, ესროლა მას ზედი-ზედ, მოარტყა მარცხენა გვერდში და მარჯვენით გამოხვრიტა. საწყალი ცხნიდან გადმოვარდა და ორი საათის განმავლობაში სული განუტევა. განსვენებულის მეუღლემ მწუხარება ველარ აიტანა და თავის საყვარელ მეუღლეს გაჰყვა. ეს შემთხვევა რას უნდა მიეწეროს თუ არ უთავბოლო მოქმედებას სოფლის მოხელეებისას? რადგანაც ხალხი დაბნელებული და გაუნათლებელია ამ სოფელში, ამიათვის იმათვის საჭიროა გონიერის და მწრთვნელი მეთაური და არა იმისთანეები, როგორიცა ჰყავთ.

ეხლა და კვლავ ვიმეორებ, რომ სასურველია აქაურ თავგასულობას ყურადღება მიექცეს ვისიც ჯერ იყოს. ხალხი უკვე დრტვინავს.

კალამდარა.

*** **დ. აბაშა** (სამეგრელო). სოფლის კანცელარია. დ. აბაშას ბიბლიოთეკა არა აქვს და მგონი ამიერიდანაც არ ექნება, არც თეატრი ეღირსება აბაშას, მაგრამ ორივეს მაგიერობას სოფლის კანცელარია ასრულებს, რომელიც ზედ შუა ბაზარშია გამოჭიმული. მშვენიერ სურათს ხედავს ყოველ დღე როგორც ბაზარი, ისე ბაზარში მოსიარულე ხალხი: დღე ისე არ გაივლის, რომ დაჭერილი კაცები ქისტის-კვრით და თრევით არ გამოატარონ მთელ ბაზარში და ვირის აბანოში არ ამოაყოფინონ თავი, ფანჯრიდან გამომცქირალნი დამნაშავენი თითქოს ძველი დროის რომის მონები იყოს ამფითეატრზე გამოსაყვანათო ისე საცოდავათ გამოიყურებიან! მეორე, ისე დღე არ გაივლის, რომ ყურთა სმენა წართმეული არ იყოს კანცელარიასთან შეგროვილი ხალხის ყიყანით! ამ სურათს, ვერც მატარებლით გამვლელი ხალხი ასცილდებოდა, მაგრამ თითქოს განგებო, დიდრონ ხეებს დაუჩრდილავს იქითი მხარე, ვინძლო უცხოელმაც არ ნახოს ეს ცოდვა სამართლის სახლიო! ნუთუ ბაზარმა, რომელსაც თავის სიკეთე სწადიან იმან თხოვნა არ უნდა აღძრას, რომ სოფლის კანცელარია სადმე სოფელში გადიტანონ!? ეს ჩვენი აზრი რასაკვირველია ცოტ-ცოტა მწერლიდან დაწყებული უკანასკნელ მართალ პირამდის ყველას ეწყინება: ვაი თუ ბაზარზე მოცილებით ქამარს მოკლება დასჭირდესო, მაგრამ სოფლის ბრძნული თქმულებით გავამხნევებთ „თაფლი იყვეს თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო". მერწმუნეთ ბაზრისთვის კი მაინც და მაინც ვერაფერი თეატრი და ბიბლიოტეკაა შუა ბაზარში ალიაქოთი და მარად ჭიჭყინი! იმედია ჩვენი უფროსების განკარგულებით სადმე გადაატანიებენ ამ ცოდვით სავსე კანცელარიას და მით რამეს მიამგზავსებენ ჩვენ დაბას.

ჭიჭინობელა.

*** **ს. კულაში** (ქვემო იმერეთი). წიგნთ-საცავის შესახებ. არა ერთხელ დაწერილა ქართულ გაზეთებში ამ სოფლის შესახებ, რომ ის უწიგნ-საცავოთ დიდს ნაკლულევანებაშია, მაგრამ ჩვენს გაზეთებს ყურიც არავინ ათხოვა, ამისათვის საჭიროდ ვცნობ ორიოდე სიტყვა კიდევ მოგახსენოთ ამის შესახებ და ეგებ, ღმერთმა ჰქნას, რომ ამ გაზეთის წაკითხვამ აფიქრებინოს ამ სოფლის რომელიმე გულშემატკივარს ამ საქმის დაწყება.

კულაში საჭიროებს წიგნთ საცავ-სამკითხველოს, მით უმეტეს, რომ ის 1) შესანიშნავია სიდიდით მთელს ქუთაისის მაზრაში, 2) არსებობს ნორმალური და სასოფლო სასწავლებლები, რომელთათვის იგი დიდს საჭიროებას შეადგენს, 3) წერა-კითხვის მცოდნე პირნი აქ ძალიან ბევრნი არიან და აგრეთვე ზაფხულობით ჩამოსულნი უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებიდან და 4) თავად-აზნაურობაც ბევრნი არიან, რომელთათვის უმთავრესი საშუალება იქნება სამკითხველო, როგორც თავის გასართობათ, აგრეთვე მათი ზნეობრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რის მიზეზია კულაშის ეს ნაკლულოვანებაო, იკითხავს მკითხველი? მე შემიძლიან ამაზე ჩქარა გიპასუხოთ, რომ ეს სოფელი ამ საქმეში თავს ვერ იმართლებს, მხოლოდ ამის მიზეზია უთაობა, მაგრამ ესეც საკვირველია, რომ ასეთ გამოჩენილ სოფელში, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არ გამოჩნდა მოთავე და საზოგადოების გულშემატკივარი. დროა გავახილოთ თვალი და ჩვენს საჭიროებას თვით ჩვენ თუ ვერ მივხედებით სხვებს მაინც მივბაძოთ. ღმერთმა ქნას, რომ ამ ნაკლულოვანებისათვის თავი დაეღწიოთ აქაურებს და მეტის წერით ამის შესახებ კვლავ არ შევაწუხოთ მკითხველი.

ე. ჩიჯავაძე.

# სხვა-და-სხვა ამბავი

## ქალაქი მარსელი *).

მარსელიელების ხასიათი.—სხვა და სხვა ჭირის ეპიდემიები ქ მარსელში წარსულ დროს.—უძველესი მონასტრები.

მარსელიელები, მიუხედავად ეხლანდელ მათ ყოფა-ცხოვრებისა, სულით და გულით ისევ ბერძნებად რაცხავენ თავიანთ თავს, რათა მათი ლაპარაკი შესამჩნევად წააგავს ეხლანდელ ბერძნების ლაპარაკს. როგორც ვიცით, უწინდელი ბერძნები დიდად იღწვოდნენ „მოქალაქის" წოდების მიღებას. მათი „polis"-ი (ქალაქი) რაღაცა ოქროს ბუდეთ მიაჩნიათ, იგი იყო მათი სიცოცხლის უმთავრესი ძარღვი, ომის დროს თავს აქ იყრიდნენ, მაშასადამე იგი მათთვის სიმაგრედ ითვლებოდა და მაზე კარგ არაფერს არა ჰპოვებდნენ მთელ დედამიწაზე, სწორედ რომ ჯაჭვით იყვნენ მიმაგრებულნი თავიანთ სამშობლოსთან. მარსელიელებიც, როგორც ბერძნების ჩამომავალნი, ამისთანავე ხასიათისა იყვნენ და არიან კიდეც, ეხლანდელ დროში. ისინი არამც თუ პარიჟს, არამედ მთელ ფრანციასაც ყურადღებას არ აქცევენ, მარსელიელების ფიქრით მთელ დედამიწაზე ისეთი არა მოიპოვებარა, რასაც მათი რამ კარგი დაუვარდებოდეს. ამისთანა რწმუნება დიდი ხანია რაც მათ გულში ჩანერგებულა, როდესაც, ამბობდნენ: „Massilia locuta est, causa Finita est" (მასსილიამ სთქვა თუ არა, საქმე გათავებულია), თუ მარსელიელმა თქვენ თავის მოძმედ ჩაგთვალათ, თქვენ ამაში მასთან უეჭველად უნდა დასთანხმდეთ და ეს მიბაძვა უმაღლეს ქებათ უნდა აღნიშნოთ, თუ არა და მარსელიელს გააჯავრებთ. ამ კეთილ ხასიათს სითავდაბლეც მოსდევს, მარსელიელები უცხო ქვეყნებიდგან მოსულ ადამიანს დიდი სიამოვნებით იწვევენ თავიანთ ქალაქში, მართლაცა და, ყველა ის მარსელის ოტელები და სასტუმროები, რომელნიც სამხრეთ ევროპაში არიან განთქმულნი, ყოველთვის ღიაა და ფას მისაწდომიც არის მგზავრისთვინ, მაგრამ ამ კეთილ ქცევისთვინ მარსელი არა ერთხელ ყოფილა დასჯილი ხოლერით და შავი ჭირით, სხვა და სხვა აუცილებელ ეპიდემიას, რომელნიც მარსელიდგან წარმომდგარან, მტკიცე ბეჭედი დაუკრავთვ მთელ ევროპიის ისტორიაზე, ბევრჯელ შეუპყრია ევროპა სხვა და სხვა ამ გვარ ჭირით. საკვირველიც არ არის, უწინარეს ყოფილი მარსელი თავის ვიწრო ტალახიან ქუჩებით, რომლებსაც არც მზე და არც ნიავი არა ჰხვდებოდა, ყოველ ჟამს სხვა და სხვა ჭირის გაჩენის ბუდედ ყოფილა. მხოლოდ ამ საუკუნის დასაწყისში მარსელში დაუნგრევიათ ის უძველესი ხის შენობები, რომელთაც ყოველთვინ სუნი უდიოდათ, გააგანიერეს ქუჩები და მას აქეთ მარსელში ეპიდემიის მოძრაობა შესანიშნავად შესუსტდა. მაგრამ ეხლაც ისეთი ადგილები მოიპოვება მარსელში, რომ ხელმეორედ ავადმყოფობის გაჩენა ამ ქალაქში გასაკვირველი არ იქნება. უკანასკნელად მარსელში ხოლერის ეპიდემია მძვინვარებდა 1885 წ., მაგრამ ყველაზე თავშესაზარი ეპიდამია მოძრაობდა 1820 წ., როდესაც შავმა ჭირმა 40,000 მეტი ადამიანი იმსხვერპლა, რომელთაც არა მხრით მოშველება არა ჰქონდათ. შავი ჭირი, სადაც იდროვებდა, ქუჩაზე მეიდანზე სახლში გარეთ ყველგან და ყველას იქვე, სულს ართმევდა და საცოდავნი მიუშველებლად იქვე ბუზივით იხოცებოდნენ. შავი ჭირი აღმოსავლეთ ქვეყნებიდან გადმოეტანათ და რომელიც იქიდან გადმოტანილ მატყლს მოჰყვა შავი ჭირი ერთ და იმავე ღონით და ძალით ქალაქის ყველა კუთხეებში მაისიდგან მოყოლებული ენკენისთვემდე მძვინვარებდა. ამისთანა საზოგადო უბედურებაში, როდესაც რაიმე ჭირისაგან ხალხი ათასობით და ათი-ათასობით იღუპება, უმეტეს შემთხვევაში საშველო ასპა-

*) იხ. «ცნობ. ფურც». № 849.

## სასამართლოს მატიანე

ანდერძის აღმასრულებლის მოვალეობის ჩამორთმევა.

17 ივნისს ტფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩა კნეინა ქეთევან გიორგის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანის ანდერძის აღმასრულებლის სიმონ სპირიდონის ძის ფერნაძის საქმე. საქმის გარემოება შემდეგია: ფერნაძემ, როგორც კნეინა ქეთევან ჯამბაკურ-ორბელიანის ანდერძის აღმასრულებელმა, დაჰბეჭდა გაზ. „კავკაში“ შემდეგის შინაარსის გაფრთხილება: კნ. ჯამბაკურ-ორბელიანის მემკვიდრეთ ჯერ კიდევ არ მოეპოვებათ უფლება ნაანდერძევ ქონების მფლობელობაში შევიდნენ, რომლის ქონებასაც, სხვათა შორის, ეკუთვნის ნავთის ადგილები ს. ბალახანაში, და მთელი ქონება ვალების გასტუმრებამდე და ბ-ნის ერივეს იჯარის ვადის გასვლამდე, მხოლოდ ჩემს განკარგულებაში უნდა დარჩესო. თავიანთის მხრივ მემკვიდრეებმა გამოაცხადეს „ტფ. ფურც.“-ის შემწეობით შემდეგი: ჩვენ უკვე მამულების მფლობელობაში შევედით, სხვათა შორის, ნავთის ადგილებისაც. ყველა ვალები გასტუმრებულია, ერივესთან დადებული საიჯარო ხელშეკრულება უკანონოა და უკვე საჩივარი შევიტანეთ სისხლის სამართლის წესით ფერნაძეზედ, რომელმაც ბოროტ-მოქმედებანი ჩაიდინა და უკანონო პირობით შეეკრა ერივესა.

ოლქის სასამართლომ, განიხილა რა მემკვიდრეთა თხოვნა, რომ ფერნაძე ანდერძის აღმასრულებლის თანამდებობისაგან გადაყენებულ იქმნასო დაადგინა: სიმონ სპირიდონის ძე ფერნაძე გადაყენებულ იქმნას კნ ქეთევან გიორგის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანის ანდერძის აღმასრულებლის თანამდებობისაგან, დაევალოს ფერნაძეს, რომ განსვენებულ კნეინის მემკვიდრეთ: გენ. ადიუტანტის ქვრივს კნ ალექსანდრა მაკარის ასულს მელიქიშვილისას, გენ.-ად. ქვრივს კნ. ბარბარე თარხან-მოურავისას, გენ.-მაიორს თავ. ივ. ჯამბაკურ-ორბელიანს, თავ. კონსტანტინე მაკარის ძეს, მაკარ და დიმიტრი ორბელიანს და მისის უდიდებულესობის უმაღლესის კარის სეფე ქალს სოფიო ივ. ჯამბაკურ-ორბელიანს მისცეს ყოველის თვის მოქმედების ანგარიში და აგრეთვე ანგარიში კნ. ქეთ. ჯამბაკურ-ორბელიანის ქონებათა შემოსავალ გასავლისა, რისთვისაც უნდა წარუდგინოს ხსენებულ მემკვიდრეთ ნამდვილი თავის გასამართლებელი საბუთის ქაღალდები და ერივესაგან მიღებული ანგარიშები იმ ანგარიშის გასამართლებელ საბუთის ქაღალდებით.

## ყურმოკრული საუბარი

ციხეში.

— შენ რაზე ხარ დაჭერილი?

— ყალბი ფულის მოჭრაზე.

— რა გადაგიწყვიტეს?

— კატორღა.

— ეგრე ძლიერ რათ დაუსჯიხართ?

— იმიტომ, რომ ზედ აწერია: ვინც ყალბს მოსჭრის მაესჯება კატორღა.

— შე დალოცვილო, როდესაც აკეთებდი ყალბ ფულს, შენც დაიწერდი ან „პოლედნიას“ ან ციხეს და გადარჩებოდი კატორღას.

## ოჯახში გამოსადეგი ცნობა

კარაქის გაკეთება სახელდახელოდ. ჩაასხით რძე განიერ ყელიან გრაფინკაში, აჭანჭყარეთ, ვიდრე რძე არ გასქელდებოდეს, როცა გასქელდება, გასწურეთ საცერში, რომელსაც მიტკალი უნდა გადააფაროთ; რაც ამ მიტკალში დარჩება ხელმეორეთ ჩადეთ გრაფინკაში და აჭანჭყარეთ ვიდრე ეს კარაქად არ იქცევა. ამ რიგათ სულ ცოტა ხანში მშვენიერ კარაქს გააკეთებთ.

ზაფხულობით ხორცის შენახვა 10—20 დღემდის. ჩადეთ ხორცი ქაშანურის ქილაში, ზემოდან ნადებ მოუხდელი რძე დაასხით: თუ ძალიანა ცხელა ყოველ დღე უცვალეთ რძე, თუ არა, ორ-სამ დღეში ერთხელ. ქილა მშრალ და გრილ ადგილას უნდა იდგეს.

ცივი წყალი. ჩაასხით ლიტრაში წყალი, ზემოდან სველი ტილო შემოახვიეთ და იმისთანა ადგილას დადგით, სადაც ნიავი ხვდება, წყალი მალე და გვარიანათ გაცივდება.

## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა აგენტოსაგან“).

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულ იქმნა: ნება დართოთ მთა-მადნის მწარმოებელთა კრების საბჭოს შეიძინოს საკუთრებად უძრავი ქონება; აირჩიონ ბანკებმა გაზეთები დაგირავებულ საჯარო ვაჭრობით გაყიდვის გამოსაცხადებლად.

**სტამბოლი.** გუშინ სულთანმა ინახულა რუსეთის ელჩი ზინოვიევი.

**პეკინი.** აქ მოვიდა დღეს ახლად დანიშნული ელჩი გერმანიისა კეტლერი.

**ბრიუსელი.** რამდენმამე ათასმა კაცმა საღამოს მანიფესტაცია მოახდინა „დიდს მოედანზედ“ და ჟანდარმებს ქვების სროლა დაუწყეს. ჟანდარმერია იძულებული შეიქმნა ეხმარა ხმლები, შემდეგ ორსავე მხარეზედ ასტყდა სროლა. ჟანდარმერიის მიერ გაფანტული ხალხი ხელმეორედ შეიკრიბა ზოგიერთ ქუჩებზედ, ამოთხარეს ქუჩა და ცეცხლი წაუკიდეს გაზის მილებს. ათი კაცი დაიჭრა, 25 შეპყრობილ იქმნა.

**ლონდონი.** პეკინიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ბრიტანიის რწმუნებულმა გადასცა ოთხშაბათს მარკიზ სალისბიურის დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ჩრდილოეთის რკინის გზის მთავარ-ინჟინერის კინდერის დათხოვნას დიდი ბრიტანია ისე შეჰხედავს, როგორც სამძიმო საქმეს. ამის გამო კინდერის დათხოვნის საქმე გადადებულ იქმნა შემდეგის დროისათვის. ცუნგ-ლი-იამენმა უფლება მისცა პეკინის სინდიკატს, გაიყვანოს რკინის გზები შენსსა, ხონანსა და იან-ცე-კიანგის ხეობაში.

**ვენა.** მთელ იმპერიის ბიუჯეტს, $3^1/_2$ მილიონის გარდა, რომელიც ჩვეულებრივ ემატება, „Neue Freie Presse“ ს სიტყვით, საზღვაო ბიუჯეტიც მიემატება გემების შესაძენად და ფლოტის გაძლიერების შესახებ პროგრამის თან-და-თან განსახორციელებლად.

---

რეზზე ვინმე კეთილ გულოვანი და თავ განწირული ადამიანი გამოვა ხოლმე. ამისთანა ადამიანი მარსელში შავი ჭირის ეპიდემიის დროს იყო, კავალერი როზი. ეს თავ-განწირული მოძმეთა მოძმე დატყვევებულებთან ერთად ქალაქში ჭირით მიცვალებულთა გვამს აგროვებდა და ჰმარხავდა „ლატურეტის“ ხეობებში, სადაც აქამდე მოსჩანას „შავი ჭირით მიცვალებულთა საფლავები“. მეორე სახელოვანი მოღვაწე შავი ჭირის მძვინვარების დროს იყო მარსელის ეპისკოპოზი ბელზიუნსი, რომელიც უშიშრად და თავგანწირვით ჭირით შეყრილ ხალხს შუა დაიარებოდა წმ. საუღუმლოთი და თავის ძმურ და სიყვარულით სავსე ქადაგებით ყველას ამხნევებდა უშიშრად ყოფნაზე და იმედს აძლევდა ჩქარა ჭირის აღმოფხვრაზე. ერთხელ ეს ღვთის კეთილი მსახური ფეხშიშველა, თოკით ყელზე, სხვა სასულიერო პირთა მხლებლობით სობოროში მივიდა და თავის მხურვალე ლოცვა ცრემლით ღვთის მშობლის ხატს მიჰმართა და შეევედრა ქალაქის ჭირისაგან განთავისუფლებაზე. ისმინა ღმერთმა მისი ვედრება და მართლა 1721 წელს მაისის თვეში შავი ჭირი სრულებით შესწყდა. სამადლობლად ამისა, მარსელელებმა თავისს დაუვიწყარ მოღვაწე მწყემს-მთავარს დაუდვეს მშვენიერი ძეგლი.

თუმც მარსელი ძლიერ ძველი ქალაქია, მაგრამ მაში უწინდელი დროის შენობები სრულებით აღარ დარჩენილა, რაც ცხადად დაამტკიცებდა მისს ისტორიულ წარსულს, ძველი განთქმული სობოროსი ხომ აღარაფერი დარჩომილა. ერთი სიტყვით, ძველი მარსელი, განთქმული თვის ისტორიული წარსულით, დამარხულია და მის საფლავზე ეხლა ჰყვავის ეხლანდელი სახელგანთქმული და ქალაქთა დედა მარსელი. წმ. ნიკოლოოზის ფორტის ახლო კიდევ დარჩენილა შუა საუკუნოების დროის ლამაზი ეკკლესია, აღშენებული წმ. ვიქტორის სახელობაზე. ეს ეკლესია ერთ დროს შეადგენდა ერთ განთქმულ მონასტრის ნაწილს, რომელიც აღშენებული იყო მე V-თე საუკუნეში წმ. კასსიანის მიერ და ბოლოს განადგურებული სარატინების მიერ, რომელნიც არა ერთხელ მოჰსევიან და აოოხრებიათ ეხლანდელი სამხრეთ ფრანციის ზღვის პირზე მდებარე ქალაქები.

ეს მონასტერი 1350 წელს განუახლებია პაპა ურბენ მეხუთეს, რომელიც ამ მონასტრის წინამძღოლად ირიცხებოდა. ურბენმა ეს მონასტერი სიმაგრეში მოაქცია, ასე რომ იმ დრომდე მას ადამიანის ხელი არც კი მიჰკარებია დასანგრევლად, მაგრამ მას ბოლო მოუღეს ბუნების მოვლენამ: წვიმამ და ქარიშხალმა. ახლა ეს მონასტერი დაცარიელებული და ყველასაგან დავიწყებული სდგას. ამ მონასტრის ქვეშ იმყოფება მიწა-თხრილი, სადაც, როგორც ამბობენ, ატარებდა თავის მეორე სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ძაცხოვრის მიერ მკვდრეთით აღდგენილი ლაზრე. ამის გარდა ეკლესიაში შეგიძლიანთ ნახოთ დროისგან გაშავებული ღვთის მშობლის ხატი, ვითომც და დაწერილი სახარების დამწერ მოციქულ ლუკას მიერ. ვიმეორებთ, თუ ვისმეს ჰსურს სხვა და სხვა ხალხის ზნე ჩვეულების გაცნობა, გაემგზავროს მარსელს, სადაც იგი ყველა გულის წადილით დაკმაყოფილდება. გაჰქრა ბერძნების მასსალია, წახდა რომაელების მასსილიად და მათ ადგილას აჰყვავდა მარსელი, რომელსაც ეხლანდელ დროში, სილამაზით, სიმდიდრით და აღებმიცემობით ევროპაში პირველი ადგილი უჭირავს. როგორც სინამდვილეზე დამყარებულია, დრო ადამიანს არ უცდის, ადამიანი კი დროს ყოველთვის დაუცდის, მარსელის გაშენებას, მის საძირკვლის ჩაყრას დრო არ უცდიდა, მარსელმა კი დროს დაუცადა, რომ ამ პატარა ხანში, რაც იგი ფრანცუზების ხელშია, შეიქმნა ერთ შესანიშნავ ქალაქად მთელ ქვეყნიერებაზე.

პავლე მოსულიშვილი.

**პარიზი.** პალატა. მილვუა ნება-რთვას თხოულობს შეეკითხოს მთავრობას, როგორ სურს მილიე-რანს განახორციელოს სოციალი-სტური მოძღვრებავო. მილიერანის თხოვნით, პალატამ, 357 ხმით 167-ის წინააღმდეგ, ამ საგნის გან-ხილვა ერთის თვით გადასდვა.

**პეტერბურგი.** ბიულეტენი დე-დოფალ იმპერატრიცის ჯანმრთე-ლობისა: ცვლილება არაფერი მომ-ხდარა. ახლად დაბადებული კარ-გად არის.

**პარიზი.** პალატამ, 319 ხმის უმეტესობით 174 ხმის წინააღმ-დეგ, შეიწყნარა წინადადება ვივი-ანისა, იმის შესახებ, რომ იმ ქა-ლებს, რომელთაც ბაკალავრის დიპლომი აქვთ მიღებული, ნება დაერთოთ ვექილობა გასწიონ ხო-ლმე.

**რენი.** ხმა დადის, რომ საიდუ-მლო პოლიციის დირექტორი ვი-გიე ლორიანში წავიდა დრეიფუ-სის მისაღებად.

**ბრიუსელი.** დეპუტატთა პალა-ტა. სოციალისტებმა, სასტიკად გაჰკიცხეს რა სამინისტრო და მე-მარჯვენენი, წინააღმდეგობა განა-ცხადეს იმ წინადადების შესახებ, რომელიც შეეხება პალატის წეს-დების შეცვლას იმ აზრით, რომ დეპუტატებს, რომელნიც წესდე-ბის წესრიგს დაარღვევენ, განდე-ვნილ იქმნან. ამასთან სოციალის-ტებმა მოიხსენიეს ის ქუჩებში მომ-ხდარი არეულობა, რომლის დრო-საც სისხლი იქმნა დაღვრილი და მინისტრ-პრეზიდენტს „მკვლელი“ უწოდეს. ფლამანდებმა და დენისმა მოითხოვეს, რომ პროექტი ამომ-რჩეველთა კანონის შესახებ უკან-ვე იქმნას წაღებული. დასასრულ მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მთავრობა გულით არის მო-წადინებული მორიგებასა და ყო-ველ ღონესა ხმარობს ამისათვის. პრეზიდენტის სიტყვას ტაშის ცე-მით მიეგებნენ.

# განცხადებანი


# РОССІЯ

## ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на ГАЗЕТУ „РОССІЯ“

| | съ пересылкою въ россія р. | к. | съ пересылкою за границ. р. | к. | | съ пересылкою въ россія р. | к. | съ пересылкою за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| На годъ . . . | 12 | — | 24 | — | На 6 мѣсяц. . . | 6 | 60 | 13 | 20 |
| » 11 мѣсяц. . | 11 | 10 | 22 | 20 | » 5 » . . | 5 | 70 | 11 | 40 |
| » 10 » . . | 10 | 20 | 20 | 40 | » 4 » . . | 4 | 80 | 9 | 60 |
| » 9 » . . | 9 | 30 | 18 | 60 | » 3 » . . | 3 | 90 | 7 | 80 |
| » 8 » . . | 8 | 40 | 16 | 80 | » 2 » . . | 3 | — | 6 | — |
| » 7 » . . | 7 | 50 | 15 | — | » 1 » . . | 1 | 60 | 3 | 20 |

### ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:

Въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ газеты «Россія (Невскій № 86).

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ; для служащихъ—по третямъ чрезъ ихъ казначеевъ; неслужащіе же могутъ обращаться съ своими заявленями въ С. Петербургѣ (Невскій № 86).

За перемѣну адреѣсса уплачивается 40 коп. Отдельные нумера газеты «Россія» продается по 6 коп.

### ПРІЕМЪ И ПЕЧАТАНІЕ ОБЪЯВЛЕНІИ:

Плата за объявленіе: впереди текста за каждую строку петита по 50 коп позади текста по 25 коп. Контора газеты открыта ежедневно съ 10 ч. до 6 часовъ по полудни: редакція газеты открыта съ 1 часу пополудни до 10 часовъ вечера. Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневно отъ 2 до 5 часовъ пополудни.

Доставляемыя въ редакцію статьи должны быть за подписью и съ адресомъ, автора, безъ чего онѣ печатаемы не будутъ. Статьи, доставляемы безъ обозначенія условій, оплачиваются по усмотрѣнію редакціи. Рукописи не возвращаются.

### Завѣдуютъ отдѣлами:

1) Финансовымъ, экономическимъ, земскимъ и крестьянскимъ: Г. П. Сазоновъ,
2) Литературнымъ и политическимъ: А В. Амфитеатровъ.
3 Научнымъ: профессоръ П. И. Ковалевскій, dr. И. Л. Янушкевичъ.
4) Внутреннихъ вопросовъ: М. П. Петровъ.
5) Иностранымъ: Л. Ю. Гольштейнъ.
6) Музыкальнымъ: профессоръ Н. Ѳ. Соловьевъ и Я. А Рубинштейнъ.
7) Художественнымъ И. Ф. Порфировъ.
8) Хроники: А. Н. Чермный.
9) Провинціальной хроники: М. В. Головинскій.
10) Театральной хроники: Ю. Д. Бѣляевъ.
11) Московскимъ: В А. Гиляровскій.

Общественный фельетонъ—по воскресеньямъ— Old Gentleman.

Провинціальный фельетонъ—по субботамъ—В. М. Дорошевичъ.

По средамъ печатается «Миллюнеръ» повѣсть В Г. Авсѣенко.

Постоянный корреспондентъ въ Парижѣ: А. П. Плетневъ.

Корреспондентъ въ специальной командировкѣ по недороднымъ мѣстностямъ: Сергѣй Печоринъ (С. А. Сафоновъ)

Постоянные собственные корреспонденты въ Вѣнѣ, Львовѣ, Варшавѣ, Софій, Константинополѣ, Одессѣ и т. п.

(8—7)



1896 წ.

# ამხანაგობა

შოკოლადის, კამფეტის და ჩაის ნამცხვრის ორთქლის ქარხნისა

# ეინემი მოსკოვში

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა!

ამ უკანასკნელ ხანებში გამოვიდა გასასყიდად

# ყავა

იმგვარივე კოლოფში და ისეთივე წარწერით, რომელიც რამდენი ხანია შეადგენდა ყავის გარეგნულ ნიშანს ჩვენი ფირმის ყავისას, რომელიც დიდად გავრცელებულია ყოველგან

## ამ ბოლფყუების ასაცილებლად

უნდა მიაქციოთ ყურადღება ჩვენი ყავის ყიდვის დროს, რომ წარწერაზე გამოსახულ იყოს

1) სახელმწიფო დერბი წარწერით:
2) «Этикетъ заявленъ департаменту торговли и мануфактуръ».
3) »Товарищество паровой фабрики ЗЙНЕМЪ».

ზემოდ აღნიშნული გარეგნული წარწერანი მოწმობენ, რომ ყავა ნამდვილია და ჩვენის ფირმისა

ერთად-ერთი წარმომადგენელი ეინემის, პოლიკ და ამხ. ტფილისში. (3—2)



| Годъ 3-й. | десять рублей. | Годъ 3-й. |
|---|---|---|

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 Г. на ежедневную ПОЛИТИЧЕСКУЮ И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ

# „НАРОДЪ“

(третій годъ изданія)

Подписная цѣна газеты понижена до **десяти** рублей въ годъ съ пересылкою и доставкою повсемѣстно въ Россіи.

Газета посвящаетъ себя разработкѣ вопросовъ государственной, общественной и хозяйственной жизни русскаго народа.

Въ газетѣ между прочимъ отводится много мѣста вопросамъ желѣзнодорожнаго дѣла въ Россіи, вопросамъ церковнымъ, вопросамъ военнымъ и вопросамъ, касающимся жизни провинціи.

Сообщеніямъ изъ провинціи широко раскрыты страницы газеты, такъ какъ она сознаетъ важную роль, какую все болѣе и болѣе занимаетъ провинція въ жизни Русскаго Государства. Всякое сообщеніе, идущее отъ мѣстныхъ лицъ, касающееся жизни городовъ земствъ, вопросовъ сельско-хозяйственныхъ, торгово-промышленныхъ и т. п., съ благодарностью принимается газетою, если оно проникнуто духомъ общей пользы, а не личныхъ счетовъ. Для болѣе яркаго освѣщенія провинціальной жизни въ газетѣ существуетъ особый отдѣлъ подъ заглавіемъ „Провинціальный фельетонъ“, въ которомъ свѣдѣнія, полученныя отъ кореспондентовъ и почерпнутыя изъ провинціальныхъ газетъ, разрабатываются сотрудниками, близко знакомыми съ провинціальной жизнью и специально для Етой работы приглашенными.

ПОДПИСНАЯ ПЛАТА.

| | На 1 годъ. | На 6 мѣс. | На 3 мѣс. | На 1 мѣс. |
|---|---|---|---|---|
| **Въ Россіи,** повсемѣстно, съ перес. и доставкой . . . | 10 р. | 5 р.—к. | 2 р. 50 к. | 1 р.—к. |
| **За Границею,** въ государ. почтоваго союза . . . | 14 » | 7 » 50 » | 3 » 75 » | 1 » 50 » |

**подписка принимается:**

Въ С.-ПЕТЕРБУРГѢ: въ Главной Конторѣ газеты, Б. Морская, 36.

МОСКВѢ: въ конторѣ биржевого маклера И. Ю. Шульца (старый гостиный дворъ) въ главномъ газетномъ агентствѣ К. Н. Александровой (на Тверской), а также въ Главномъ Агентствѣ А. Ф. Сенъ-Мартенъ (Неглинный проѣздъ Противъ Гос. Банка.

Гг. провинціальные подписчики благоволятъ обращаться въ Главную Контору газеты въ С.-Петербургѣ.

Редакторъ **Н. Я. Стечькинъ.** Издатель **А. П. Мальшинскій.** (8—8)

| Годъ 3-й. | десять рублей. | Годъ 3-й. |
|---|---|---|

десять рублей.

десять рублей.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Юня 1899 г. სტ. «ქნ. შარ.» 8 ბენისა), რედაქტორ-გამომცემელი 3. ზუბ